

**კალაძე 1961:** ცირა კალაძე, „ქართველ კლასიკოსთა პუბლიკაციის ზოგიერთი საკითხი“, *ლიტერატურული ძიებანი*, XII, 1961.

**სანიკიძე 1982:** თენგიზ სანიკიძე, *აკაკი წერეთლის პოეზიის ლექსიკონი*, წიგნი I, თბ.: თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1982.

**სანიკიძე 1983:** თენგიზ სანიკიძე, *აკაკი წერეთლის პოეზიის ლექსიკონი*, წიგნი II, თბ.: თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1983.

მერაბ ლალანიძე

## ცარციათების აღსასრული

**ოსური თქმულებები. მასალები შეკრიბეს და წიგნი შეადგინეს ნაირა ბეპიევმა და ნინო პოპიაშვილმა, ოსური ენიდან ქართულად თარგმნა ნაირა ბეპიევმა, „უნივერსალი“, თბ., 2010, 331 გვ.**

ოსური ფოლკლორი განსაკუთრებით მდიდარია ეპიკური ჟანრის ტექსტებით, მრავალფეროვანი სიუჟეტებითა და მითოლოგიური მოტივებით, რომლებშიც წარმოდგენილი სამყარო მითოსურ წარსულთან გვაახლოებს. ოსური ხალხური ტექსტები ხშირად ქვეყნდებოდა ქართულ ენაზე.

წიგნის ძირითადი ნაწილი ეთმობა გადმოცემებს ლეგენდარულ ხალხზე – ცარციათებზე. კრებულში შესულია აგრეთვე ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ტექსტები, რომლებიც ნ. ბეპიევსა და ნ. პოპიაშვილს შეუკრებიან ქართლსა და კახეთში მცხოვრები ოსებისგან. ნ. ბეპიევმა „ოსური თქმულებების“ თარგმანით ქართველ მკითხველს კიდევ ერთხელ გააცნო ოსი ხალხის მდიდარი ზეპირი შემოქმედება. ოსურ თქმულებებს წინ უძღვის ხ. კიკნაძისა და ტ. გურიევის წინასიტყვაობა.

ოსური ფოლკლორის შესახებ არაერთი მსოფლიო მნიშვნელობის ნაშრომი და მონოგრაფია დაწერილა. ჯერ მარტო ვ. მილერის, ჟ. დიუმევილისა და ვ. აბაევის შრომები რად ღირს. მაგრამ მკვლევართა ნაკლები ყურადღება ხვდა წილად ცარციათების ოსურ ეპოსს, რომელიც ოსურ ენაზე პირველად 2007 წელს გამოქვეყნდა (ცარციათების თქმულებები, ძაუჯიყაუ, 2007, წიგნი შეადგინა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო თეიმურაზ თაყაზთიმ).

თქმულებები ცარციათებზე წარმოადგენს ერთ მთლიან ნარატივს თავისი დასაწყისითა და დასასრულით. მასში ასახულია ერთი ხალხის ტრაგიკული თავგადასავალი – ცარციათების მოუსვენარი, მშფოთვარე, სისასტიკით აღსავსე ცხოვრება, მითური წინაპრიდან მოყოლებული სრულ განადგურებამდე.

ცარციათების ეპოსი ჩვენამდე მოღწეულია, შეიძლება ითქვას, თითქმის მხოლოდ დ. ბეგიზოვის მიერ ჩაწერილი ტექსტებით. სამწუხაროდ, ნაკლებად მოგვეპოვება სხვა ვარიანტები, რომლებიც შეავსებდა დ. ბეგიზოვის მიერ შეკრებილ თქმულებებს, თუმცა, ფ. ტაკაზოვის ცნობით, დ. ბეგიზოვის გარდა, თქმულებები ცარციათებზე თავის დროზე ჩაუწერია ვ. ცაბაევსაც, მაგრამ ვ. ცაბაევის ჩანაწერები დღემდე არსად გამოქვეყნებულა [ტაკაზოვი].

ქართულ ფოლკლორისტიკაში პირველად ცარციათების ეპოსზე თვალ-საზრისი გამოთქვა ი. მეგრელიძემ. მან გასული საუკუნის 50-იან წლებში ჯავის რაიონში მდიდარი ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალა შეაგროვა, აგრეთვე, შეისწავლა ლიახვის ხეობის ეპიგრაფიკული ძეგლები, რომლებიც მოგვიანებით ერთად გამოქვეყნდა მონოგრაფიის სახით [მეგრელიძე 1984]. მეგრელიძის ცნობით, მას გადმოცემები ცარციათების შესახებ მოუსმენია ჯავის რაიონის სოფლებში, კერძოდ, მსხლებში, გუფთასა და ედისში. ამის შესახებ ი. მეგრელიძე წერს: „რაც ჩვენ ცარციათებზე გუფთასა და მსხლებში მოვისმინეთ, ისა და ზოგი ახალი მასალა ასახულია იმ 100 გვერდამდე ჩანაწერების შერწყმულ ვარიანტში, რომელიც ჩვენ ვასილ გიორგის ძე ცაბაევმა გაგვაცნო“ [მეგრელიძე 1984:244]. სამწუხაროდ, ვ. ცაბაევის მიერ ცარციათებზე ჩაწერილი თქმულებების ხელნაწერებს, რომლებსაც ი. მეგრელიძე და ფ. ტაკაზოვი ახსენებენ, ჯერჯერობით ვერსად მიგვაკვლიე. როგორც ჩანს, ი. მეგრელიძე ცარციათების ცაბაევისეულ ვარიანტს იცნობდა. მას თავის ნაშრომში მოჰყავს ეპიზოდები თქმულებებიდან, რომლებიც სიახლოვეს კი ამჟღავნებენ ბეგიზოვის მიერ ჩაწერილ ტექსტებთან (ანუ თქმულებების იმ ვარიანტთან, რომელიც ქართულ ენაზე ნ. ბეპიევმა თარგმნა), მაგრამ განსხვავებაც არის. ნ. ბეპიევისეულ თარგმანში გვხვდება პერსონაჟი კავკაზი, რომელსაც ი. მეგრელიძისეულ ტექსტში ჰქვია ჟაუგასი, რაც ოსურიდან ქართულად ითარგმნება, როგორც სოფლის მცველი; ჟაუ – სოფელი, გას – დამცველი, მამასახლისი). ვ. ცაბაევის შეკრებილ თქმულებებში არ უნდა იყოს კოსმოგონიური და ანთროპოგონიური მოტივები, რომლებსაც ბეგიზოვის ვარიანტში (შესაბამისად, ნ. ბეპიევის თარგმანში) დიდი ადგილი აქვს დათმობილი. ვ. ცაბაევისეულ ვარიანტში, რომელიც ასევე ჯავის რაიონის სოფლებშია ჩაწერილი, უურადლებას იპყრობს ქართული ან ქართული გზით შესული სახელების სიმრავლე, როგორიცაა შავლე, გუდარა და სხვა.

ჩრდილოეთ ოსეთში ვრცელი სიუჟეტური ნარატივები ცარციათებზე ნაკლებად დასტურდება. იქ მითიური ცარციათების მხოლოდ დალუპვის ტექსტებს იცნობენ. როგორც ჩანს, ხალხური ცნობიერება ცარციათების ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან და შთამბეჭდავ ეპიზოდად მათ ტრაგიკულ აღსასრულს მიიჩნევს. ჩრდილოეთ ოსეთში უფრო მეტად შემონახულია ცალკეული წარმოდგენები და გამონათქვამები ლეგენდარულ ცარციათებზე. იქ ახლაც უჩვეულო სიტუაციათა თუ მოვლენაზე ამბობენ: ცარციათებივით სიკვდილი, ცარციათებივით შშიერი, ცარციათების საოცრება. გამოთქმებიდანაც ნათელი ხდება, რომ მოუსვენარ ცარციათებს თავს დასტყდომიათ შიმშილი, გადახდენიათ საკვირველი ამბები, ჰქონიათ საოცარი ნივთები და სხვა.

ეპიკური ტექსტები ცარციათებზე, შედარებით სრული სიუჟეტებით და, რაც მთავარია, თავისი დასაწყისითა და დასასრულით, საქართველოში მცხოვრებმა ოსებმა შემოინახეს. თუ როგორ იყო დაცული ჩვენში ოსური კულტურა, უოფა და ფოლკლორი, მკაფიოდ ადასტურებს საქართველოში მცხოვრები ოსებისგან ჩაწერილი ცარციათული თქმულებების შედარებით

სრული ვარიანტები. როგორც აღვნიშნეთ, ეპიკური თქმულებები ცარციათებზე ძირითადად ჩაწერილია ჭავის რაიონში. ცალკეული ტექსტები კი შეუკრებიანთ გორის, ქარელისა და ყაზბეგის რაიონის ოსებით დასახლებულ სოფლებში, აგრეთვე, სოფელ გუჯარეთში. ცნობილია, რომ ოსებმა სამხრეთში, კერძოდ საქართველოში, უკეთესად შეინარჩუნეს მშობლიური ენა, ეროვნული იდენტობა, ყოფითი და ხეპირსიტყვიერი ტრადიციები, ვიდრე ჩრდილოეთ ოსეთში.

გ. ჩურსინს ჭავის რაიონში ლევან ბეგიზოვისგან ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-იან წლებში ჩაუწერია გადმოცემები ცარციათების დაღუპვის შესახებ. ჩურსინის მასალების მიხედვით, ცარციათები გაამაყდნენ, ზნეობრივად დაეცნენ და ამის გამო ღმერთმა მათი დაღუპვა გადაწყვიტა. ღმერთმა ჯერ ბარაქა გაუქრო ცარციათებს. მათი ყანები ღამით მოსამკელი იყო, დღისით მწვანედ ბიბინებდა. მაშინ ცარციათებმა ორკაპიანი წვერი დაუმაგრეს ისარს და შორიდან ესროდნენ თავთავებს. რასაც ისრებით მოწყვეტდნენ, იმით გადიოდნენ იოლას. არაბუნებრივი, საშინელი აღსასრული ხვდათ წილად ცარციათებს. ამიტომაც ოსები ქველადფერს, რაც არაჩვეულებრივია და ადამიანებში გაკვირვებას იწვევს, უწოდებენ „ცარციათულ საოცრებას“, ცარციათების ამბავს ჰგავსო, ცარციათების საკვირველი საქმის გამეორებააო. რაც მთავარია, დღემდე ოსებს ცოცხლად წარმოუდგენიათ ის საშინელი უბედურება, რომელიც ცარციათებს ოდესღაც, როგორც ღვთის სასჯელი, დაატყდათ თავს.

ბ. კუფტინი სოფელ ხვცეში მიუთითებს ტოპონიმზე „ცარციათების (შარშიათების) ბორცვი“. გათხრების შედეგად იმ ბორცვის ქვეშ აღმოჩენილა მდიდარი არქეოლოგიური მასალა [კუფტინი 1949:36].

ცარციათების დაღუპვის შესახებ ტექსტები ჩაუწერიათ 1927 წელს ეთნოლოგიურ-ლინგვისტურ ექსპედიციაში ბ. ალბოროვსა და ბ. კარსანოვს. ამის შესახებ წერს ბ. ალბოროვი თავის გამოუქვეყნებელ წერილში „ეთნონიმი „ცარციათი“ ოსურ ხალხურ თქმულებებში“ [ალბოროვი]. მისი აზრით, ცარციათების აღსასრულის შესახებ გადმოცემები შენახულია ქურთათის ხეობის მცხოვრებლებში და იქ თავის დროზე ფოლკლორული მასალები ჩაუწერიათ ს. ჯანაევს და გ. ხადიკოვს. უფრო მეტი ცნობები შემონახულია პროფესორ გ. ფ. კოკიევის შრომებში [კოკიევი 1929]. მას ხალხური ტექსტები ცარციათებზე ჩაუწერია ს. ძივგისში (ჩრდ. ოსეთი). მისი აზრით, იქ ოდესღაც, ოსების მოსვლამდე, ცარციათებს უნდა ეცხოვრათ. ტექსტების მიხედვით, ისევე როგორც დარეჯანიანები და ნართები, ცარციათებიც სიამაყისა და ამპარტავნობის გამო ღმერთმა დასაჯა. დიგორის ხეობაში ჩაწერილი ტექსტების მიხედვით, ცარციათები ძლიერ გაამაყდნენ. მათ ღმერთისა და ძუარების თაყვანისცემა შეწყვიტეს. ისევე როგორც ნართებმა, ცარციათებმაც თავიანთი სახლების შესასვლელი აამაღლეს, რომ ღმერთს არ ეფიქრა, თავს მე მიხრიან, მე მცემენ თაყვანსო. ღმერთმა გააუდაყუბულ ცარციათებს მოუკლინა ჩაუქრობელი ცეცხლი. ისინი მთელი ოჯახებით აკლდამებში შე-

დიოდნენ და იქ იღუპებოდნენ. ხანძრის შემდეგ ღმერთმა მოავლინა წარღვნა, რომელმაც გადარეცხა გაუწმინდურებული მიწა, საიდანაც შემდეგ ოსეთის მთები და ხეობები წარმოიშვა.

გ. კოკიევის განმარტებით, ტერმინი ცარციათი ხშირად ისმის ოსურ ენაში, როგორც სიმრავლის, უამრავის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმი. მაგ., „ცარციათები მოდიან“ აღნიშნავს, რომ ბევრი ხალხი მოდის, ჭვეყანა აყრილა.

ლ. მელიქსეთ-ბეკოვი ცარციათებს რამდენიმე განმარტებას უძებნის. მისი აზრით, სიტყვა „ცარციათი“ შესაძლოა მომდინარეობს გამოთქმიდან „ცარგასათი“, რომელიც აღნიშნავდა პრივილეგირებულ წოდებას დიგორი-აში. ცარციათი ან ცარცა თითქოს განძს, მიწაში დამარხულ მატერიალურ ძვირფასეულობას გამოხატავს; და ბოლოს, მელიქსეთ-ბეკოვი შესაძლებლად მიიჩნევს, რომ „ცარციათი“ იყოს ეთნონიმი იმ ტომისა, რომელიც ოდესღაც ოსეთის მთებში ცხოვრობდა და დამარხულია მიწისქვეშა აკლდამაში ან ყორღანის ქვეშ. ასეთი დასკვნის საფუძველს მას აძლევს ეთნონიმის ძირი „ძურ“, „სურ“ < ცურ, ცარ და არ გამოორიცხავს, რომ ეს ძირი იგულისხმებოდეს ეთნონიმში „ძურძუკი“ ან „ხევსური“ [მელიქსეთ-ბეკოვი 1929].

შესაძლოა ოსურ ენაში ცარციათი აღნიშნავდა აკლდამებში მიცვალებულთა ძვლების სიმრავლესაც. ჩრდილოეთ ოსეთის მაღალმთიანეთში დღემდე შემორჩენილია მიწისზედა, ვაინახური ტიპის აკლდამები პირამიდული ფორმის სახურავებით, გვხვდება მიწისქვეშა აკლდამებიც. უცნობი ადამიანების ძვლებით ამოვსებული, მიტოვებული და საიდუმლოებით მოცული ძველი სამარხები ხალხში ახალი მითოსის აღმოცენების საფუძველს ქმნიდა. ალაგირის, ჭურთათისა და დიგორის ხეობის იმ სოფლებში, რომელთა სიახლოვესაც შემორჩენილია მიცვალებულთა აკლდამები და კატაკომბები, თითქმის ყველგან (ჩრდილოეთ ოსეთში – ლაცი, ძივგისი, გალიათი, სანიბი; საქართველოში – ზემო ლიახვის ხეობაში – სთირფაზი, ედისი და სხვ.) გ. კოკიევის ცნობით, ხალხში დაცული იყო გადმოცემები, რომ ძველი სამარხები არ არის ოსებისა და ოდესღაც ცარციათებს ეკუთვნოდათ აკლდამები, სადაც ისინი თავიანთ მიცვალებულებს კრძალავდნენ [კოკიევი 1929:47].

ჩრდილოეთ ოსეთში სანიბის ხეობის მცხოვრებთ დღემდე სწამთ, რომ სოფელ სანიბის ჩრდილოეთით, მთებზე, სადაც შემონახულია აკლდამები და კატაკომბები, მდებარეობდა ცარციათების სოფელი. ცარციათებს ღმერთმა სასჯელად შავი ჭირის ეპიდემია მოუვლინა. ჟამიანობა მთელ ხეობას მოსდებია. გარდაცვლილებს აბა, ვინღა დამარხავდა. ამიტომ მათ გაუკეთებიათ კატაკომბები (ныгкәнтә ләгәттә). დასალუპავად განწირულებს ყველაფერი – თავიანთი ჭონება, სურსათი, საოჯახო ნივთები – აკლდამებში შეუტანიათ და იქ დალოდებიან სიკვდილს. გ. ჩურსინის ცნობით, ჩრდილოეთ ოსეთში აულ ჩმის მახლობლად ერთ-ერთ მაღლობს ჰქვია „ცარცა“, სადაც არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ადამიანის ძვლები, ჭურჭელი, ბრინჯაოს იარაღები და სხვ. [ჩურსინი 1925:5].

ცარციათების ხსოვნა ასახულია ოსურ რიტუალებშიც. ე. ბარაქოვას ცნობით, სოფელ არხონის მცხოვრებნი დიდმარხვის დროს, მარტის თვეში, კვირადღეს, ცარციათების მოსაგონებლად სუფრაზე აწყობენ საგანგებოდ გამომცხვარ სარიტუალო ქადებს, სასმელს, და ცარციათებს იხსენებენ, მათ შესანდობარს სვამენ [ბარაქოვა 1936].

ჯავის რაიონის სოფელ ედისსა და მის მახლობელ სხვა სოფლებში შემორჩენილია ძველი საფლავები. ადგილობრივ მცხოვრებთა რწმენით, ეს საფლავები ეკუთვნით ცარციათებს, რომლებიც იმ ტერიტორიაზე ოსების მოსვლამდე ცხოვრობდნენ. გ. ჩურსინის ცნობით, ხანგრძლივი გვალვების დროს ოსები წვიმის მოსაყვანად მიმართავენ მაგიურ რიტუალებს. კერძოდ, ედისისა და სხვა სოფლების მცხოვრებნი საფლავებიდან იღებენ „ცარციათების ძვლებს“ და მათ წყალში დასველების შემდეგ კვლავ იმავე საფლავში მარხავენ. მათი აზრით, ცარციათების ძვლების წყალში დასველება უჭკველად მოიყვანდა წვიმას [ჩურსინი 1925:77]. გასაწვიმებლად ძველი საფლავიდან მიცვალეზულის ძვლების ამოღება, მდინარეში ჩაკიდება და დასველება, როგორც მაგიური ქმედება, გვხვდება კავკასიის სხვა ხალხებშიც.

ჩრდილოეთ ოსეთში, ქურთათისა და ალაგირის ხეობებში, ადგილობრივი მცხოვრებნი მიუთითებენ ადამიანის ძვლებით სავსე აკლდამებსა და კატაკომბებზე, რომლებიც, მათი რწმენით, ცარციათების დროინდელია. ცარციათების საფლავის მახლობლად სოფელ ქუმზულთაში მდებარეობს ოსების სალოცავი „ძუარ“ და ოსური საგვარეულო კოშკები. ცარციათების ეპოსი მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის მიცვალეზულთა დაკრძალვის შესახებ. ეპოსის მიხედვით, ცარციათები მიცვალეზულებს აკლდამებში ათავსებდნენ. როდესაც ცარძოისა და ბონგარნონის ვაჟი ახვი ევგვიპარებთან ბრძოლაში დაიღუპა, სადაც მისი დამწვარი ცხედარი იპოვეს, იმ ადგილას აკლდამა გააკეთეს: „დამწვარი ახვი შიგ შედეს, მკლავის კიდური კი აკლდამის კარებთან ააყუდეს“ [ოსური თქმულებები:52], „ცარციათებმა თავიანთ მიცვალეზულებს აკლდამები გაუკეთეს, შიგ დაასვენეს ისინი და უკან გამობრუნდნენ“ [ოსური თქმულებები:56], „წამოიღო დედამ თავისი შვილის ხათავოს გვამი ცარციათებთან. ააშენეს უზარმაზარი აკლდამა და იქ დაასვენეს. დედამაც იქვე დალია სული და ისიც მის გვერდით დაკრძალეს“ [ოსური თქმულებები 2009:77], „სუამ თავისი ძმის ტანი წამოიღო. აკლდამა გააკეთა, იქ შედო“ [ოსური თქმულებები:91], ღმერთმა ცარციათებს ჰირი მოუგლინა... სანამ შეეძლოთ, თავიანთი მიცვალეზულები აკლდამებში შეჭჭონდო, მაგრამ აკლდამები გვამებით გაივსო“ [ოსური თქმულებები:121]. ასევე ეპოსში ასახულია ცარციათების აკლდამასთან ევგვიპარების ბრძოლა თავიანთი მიცვალეზულის თავის წასაღებად, რაც იმას ადასტურებს, რომ ეველას თავისი საგვარეულო აკლდამა ჰჭონდა და დიდ სირცხვილად ითვლებოდა მიცვალეზულის სხვა აკლდამაში დატოვება.

აკლდამებში მიცვალეზულთა დაკრძალვის წესი გავრცელებული იყო კავკასიის მაღალმთიანეთში, მათ შორის ვაინახებსა და ქართველ მთიელებ-

შიც. მაღალმთიანეთში მიცვალებულთა აკლდამებში დაკრძალვის ტრადიციას მეცნიერები უტილიტარულ მიზეზებს უდებენ საფუძვლად, კერძოდ, მცირემიწიანობას, მაღალმთიანეთის კლდოვან რელიეფსა და სტიქიურ უბედურებებს (ომი, ეპიდემია), როცა ადამიანებს დრო აღარ რჩებოდათ მიცვალებულთათვის საფლავების გასათხრელად.

გ. ჩურსინი წერს, რომ ცარციათების დაღუპვის შემდეგ ჭვეყანა დაცარიელებულა და ატყევებულა. მისი აზრით, ამის შემდეგ იქ ჩრდილოეთიდან მოსულან ოსები და ცარციათების ნასახლარზე დამკვიდრებულან [ჩურსინი 1925:7]. ამრიგად, ცარციათების შესახებ ცალკეული გადმოცემები შენახული იყო ჩრდილოეთ ოსეთში – ალაგირის, ჭურთათისა და დიგორის ხეობებში, აგრეთვე საქართველოში – ჯავის რაიონის სოფლებში, ანუ იმ გეოგრაფიულ არეალში, სადაც საუკუნეების მანძილზე ცხოვრობდა დვალეების ტომი (დვალეები: ოსურად – თვალთა).

აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ ოსეთის მთიანეთში დვალეების აღსასრულის შესახებ ჰყვებოდნენ ისეთივე შინაარსის ტექსტებს, როგორსაც ნართებისა და ცარციათების შესახებ. გადმოცემების მიხედვით, დვალეები უგულოდ ლოცულობდნენ ღმერთსა და ძუარებს, ამიტომაც განადგურდნენ [კოკიევი:43].

ცარციათების ამბავი იწყება კოსმოგონიით. ეპოსში მოთხრობილია სამყაროსა და მისი ნაწილების შექმნის შესახებ: განაწყენებული ღვთაებების მიერ მზისა და მთვარის დაშორიშორება და შედეგად დღისა და ღამის წარმოშობა, ღრუბლების გაჩენა, დედამიწის რელიეფის შექმნა. მაგრამ სამყაროს სრულყოფას კიდევ ბევრი რამ აკლდა. დედამიწაზე სულიერი არ ჭაჭანებდა. მზემ დახედა დედამიწას, მოეწონა, მაგრამ დანაღვლიანდა და ღმერთს შესჩივლა, იმ საუცხოო ჭვეყანაში სულიერის ჭაჭანება არ არის და რა გამახარებსო.

ღმერთმა შექმნა ჭვემძრომები, მწერები, მხეცები... მზე მაინც წუხდა, რადგან სამყაროს შექმნა დასრულებული არ იყო. მას უნდოდა, ღმერთს ისეთი არსება შეექმნა, რომელიც მიწას გაალამაზებდა და დაიცავდა.

ცარციათების ანთროპოგონია დიდ მსგავსებას ამუღავნებს ცნობილ მითოლოგიებთან. ოსური ხალხური ტექსტების მიხედვით, პირველი ადამიანის, ცარძოის სხეული ღმერთს მიწისაგან შეუქმნია: ღმერთმა თიხა მიწა მოზილა, შიგ კლდის ქანები შეურია... მიწისაგან ცარძოის ტანი შექმნა, კლდის ქანებისაგან – თავი, მთის ანკარა წყაროსგან კი სისხლი ჩაუდგამს მის ძარღვებში. ცარძოი გახდა ცარციათების მითური წინაპარი. კოსმოგონიური და ანთროპოგონიური მოტივები ცარციათების თქმულებებში ორად ორი ვარიანტით არის წარმოდგენილი. ორივე ვარიანტი დ. ბეგიზოვისგან არის ჩაწერილი. სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება სხვა ტექსტები, რომლებიც მოგვცემდა ურთიერთშედარებისა და კოსმოგონიური სურათის სრულყოფილად დახატვის საშუალებას.

ვინ არიან ცარციათები? ასეთი სახელწოდების ხალხი ჭვეყანაზე არსად

ცხოვრობს, არც კავკასიაში და არც სხვაგან სადმე. არც ერთი დღემდე მოღწეული წერილობითი ისტორიული წყარო არ ადასტურებს ამ ეთნონიმს. ცარციატები მითიური ხალხია. ეპოსი მათ თითქოს სამყაროს პირველ მცხოვრებლებად წარმოგვიდგენს. თქმულებების მიხედვით, ცარციატები ღმერთისგან შექმნილი პირველი ადამიანის ცარძოისა და ღმერთის დისშვილის მითიური ბონვარნონის (ცისკრის ვარსკვლავის) შთამომავლები იყვნენ.

აღსანიშნავია, რომ ცარძოი სწორედ ცოლმა, ზეციურმა ბონვარნონმა ახიარა სიბრძნეს. მან ჭმარს ზეციდან ჩამოგდებული ჯადოსნური ჭვისგან ცეცხლის გამოყენება, აგრეთვე, ისრის წვერებისა და ხმლის გაკეთება ასწავლა. ძველი მითოსების მსგავსად, ცარციატების ეპოსშიც ქალის მეშვეობით უზიარება პირველი მამაკაცი სიბრძნეს, მისი დახმარებით ხდება სრულყოფილი და სოციალურად მომწიფებული ადამიანი.

ეპოსის მიხედვით, ცარციატები მთებსა და ხეობებში ცხოვრობდნენ. მათ ხუთ უბანს ხუთი მხრიდან ჰქონდა შესასვლელი. ცარციატების მაღალი კომპეკები ცას წვერს აბჯენდნენ. კომპეკებისთვის ისეთი მაღალი გალავანი შემოევლოთ, კაცს რომ თვალი აეწვდინა, თავიდან ჭუდი ჩამოუფარდებოდა. მათი ვეებერთელა სახლები ვარსკვლავებით ბრდღვიალებდნენ. ცარციატების წვიგმაგარი რაშების ფლოქვები ნაპერწკლებს ყრიდნენ, მათი მტვერი ცასა და მიწას ფარავდა, მიწას კი გვრგვინვა გაუდიოდა. ცარციატების ძროხების ბლავილი ხეობას აყრუებდა, ყოჩების რქების ჯახაჯუხი კაცს ომი ეგონებოდა, მათი ხეობები შავი წვრილფეხა და თეთრი საქონლის ჯოგებით იყო სავსე. ცარციატები მისდევდნენ მონადირეობას, მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობას, თუმცა არც ყაჩაღური თავდასხმებისგან იხევდნენ უკან.

ცარციატებსაც ჰქონდათ ბედნიერი ცხოვრების საარაკო ხანა. სუას ეპიზოდი ცარციატების ცხოვრების საუკეთესო დრო-ჟამზე მოგვითხრობს: „შორს იყო განთქმული სუას სახელი. ორი ადამიანი რომ საუბრობდა, აუცილებლად სუას ახსენებდნენ, მის სახელს ფიცულობდნენ. სუას შვიდთვალისანი ციხე ჰქონდა, შვიდთვალისანი კოშკი. ღვთის მაღლით, სუა სახელოვნად და ნამუსიანად ცხოვრობდა“ [ოსური თქმულებები 2010:58]. ღვთის წყალობამაც არ დააყოვნა და სუას ოჯახი ხვავითა და ბარაქით აავსო. მისი საქონელი შვიდ ხეობაში არ ეტეოდა. „ცხოვრობდა სუა თავის უამრავ მსახურთან ერთად. მაღლიდან ღმერთი სწყალობდა და დაბლა მიწის მაღლი ეწეოდა“ [ოსური თქმულებები 2010:59]. ცარციატების სიმშვიდესა და სამოთხისებურ ყოფას გარესამყაროსგან ცამდე ასული ცეცხლის ენები იცავდნენ. ეპოსის მიხედვით, სუას სამყოფელი იდეალური ადგილია, სადაც თითქოს „ჭარმონიაშია მოქცეული ცისა და მიწის ძალები“.

ცარციატების ეპოსში დაუფარავად არის გადმოცემული ადამიანთა გაუგონარი სისასტიკე. თქმულებებში ცარციატები დაუნდობლად ებრძვიან სასტიკ მუხოზლებს: გოლიათ ევგვიპარებს, მტრებისგან გაბრიყვებულ წიბირთებს, ხარბ ბიღვილატებსა და ხვირიმთებს. ცარციატების ეპოსში ასახული დაუნდობელი ბრძოლები თავისი სისასტიკით მამის სისხლის ასაღებად

გამძვინვარებული წართი ბათრადის შურისძიებასაც კი აჭარბებს. ცარციათების ეპოსში სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული მტრები ერთმანეთს არ ინდობდნენ: მოჭრილ თავებს ისრის წვერზე წამოაცვამდნენ და მოწინააღმდეგის სოფლის შუა გულში ისროდნენ; დახოცილებს თავსა და ყბას თალგამივით ათლიდნენ; საცხოვრებლებს უბუგავდნენ, ხოცავდნენ დამარცხებულებს, უკლებლივ ყველა სულიერს, არ ინდობდნენ მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს. ბუნებაც გაავეებული იყო კაცთა სისასტიკით. ცარციათების მიერ თვით საძულველი ფიდალიზის მიმართ გამოტანილ სასტიკ განაჩენსაც ეპოსი ერთგვარი პროტესტით გადმოგვცემს: „ცარციათებმა ფიდალიზი ერთ მაღალ მთის მწვერვალზე აიტანეს, იქ ცეცხლი დაანთეს და შიგ ჩაუძახეს. გაიმეტეს, ცოცხლად წვავდნენ ფიდალიზს და ცეცხლს სულ ტკაცატკუცი გაჭჭონდა. ცოცხლად დაწვეს საწყალი კაცი. მთა გაავეებული იყო. ამიტომ, სადაც დამწვარი ფიდალიზის ფერფლი მოხვდა, იმ ადგილებში ბალახიც აღარ ამოიწვერა. მთას ავი ფერი დაედო“ [ოსური თქმულებები: 94].

ეპოსში გადმოცემულია სხვადასხვა ხალხის ურთიერთმტრობისა და განადგურების შემხარავი სურათი: ცბიერმა ბილვილათებმა, წიბირთების მამულს რომ დაჰპატრონებოდნენ, წააქეზეს ისინი ცარციათების წინააღმდეგ. ცარციათებმა ჯერ დაუშალეს წიბირთებს მტრობა და მერე, ვერაფერს რომ გახდნენ, ღამით წიბირთებთან შეიპარნენ, თავიანთი დანებით ამოხოცეს და მერე ცეცხლი წაუკიდეს მათ საცხოვრისს. მიწას დახარბებული ბილვილათები და ხვირიმთები, თითქოს იმის გამო, რომ გული შესტკიოდათ წვირიმთებზე, დაუპირისპირდნენ ცარციათებს. განდევნეს ისინი თავიანთი მიწა-წყლიდან და ერთ დროს სახელგანთქმული ცარციათები მაწანწალა ბრბოებად აქციეს. ერთმანეთის მიწების ხელში ჩასაგდებად ახლა ბილვილათები და ხვირიმთები დაირივნენ, მათ შორის ისეთი სასტიკი ბრძოლები გაჩაღდა, რომ ორივეს შავი დღე გაუთენდა, სულიერის ჭაჭანება აღარ დარჩა მათ სოფლებში. ასეთი წყევლაც დარჩა ოსებში: „ისე დაიქცნენ და ამოწყდნენ შენი ავად მახსენებელნი, როგორც – ხვირიმთები და ბილვილათებიო!“ [ოსური თქმულებები 2010:97].

წერილობითი წყაროებიდან ცნობილია, რომ ოსეთის მთიანეთში, სადაც გავრცელებულია თქმულებები ცარციათების შესახებ, შუა საუკუნეებში სხვადასხვა ისტორიულ ხალხებს უცხოვრიათ. ისინი ომებმა და სხვა სტიქიურმა უბედურებებმა იმსხვერპლეს. ხალხთა ბრძოლის ერთ-ერთი ასეთი საარაკო სურათი ქართულ ბალადაშიც აისახა:

„მაღლა მთას მოდგა  
 უცხო ფრინველი,  
 თეთრი ფრთოსანი.  
 უღელეს ჩამოდგა  
 დიდი ლაშქარი,  
 დიდი ლაშქარი –  
 ოსი და დვალი.

ომი შეიქნა ცისკრისა ჟამსა,  
ცისკრისა ჟამსა, გამთენიასა:  
ქნევა ხმალისა, ძგერა შუბისა.  
ხმალი ორპირი სისხლში ცურავდა,  
შუბის ნალეწი ზეცას ცვიოდა,  
მესამე დღესა ჩამოცვიოდა.  
ვაჟკაცთ უვირილით მიწა იძროდა,  
სისხლისა ღვარსა კაცნი მოჭონდა“ [ძველი: 115].

ისევე როგორც ცარციათების მითოსი ერთმანეთთან ბრძოლაში ჩართული ხვიმირთების, ბილვილათებისა და წიბირთების ამოწყვეტას გადმოგვცემს, ქართული ბალადაც ხალხთა ჟღერისა და განადგურების აპოკალიფსურ სურათს გვიხატავს. ხალხურ ლექსში თითქოს დაპირისპირებული ყველა მხარე და ყველაფერი იღუპება. რ. თოფჩიშვილის აზრით, ლექსში „მადლა მთას მოდგა“ ასახულია დვალეთში შემოჭრილი ოსების ბრძოლა ადგილობრივ დვალელებთან, რის შემდეგაც მოხდა სწორედ მოსახლეობის ეთნიკური შეცვლა საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთ უძველეს პროვინციაში – დვალეთში [თოფჩიშვილი: 2009:135]. მსოფლიო მითოლოგიიდან ცნობილია, რომ ხშირად ხალხები ინახავენ მათ ტერიტორიაზე წინარე მოსახლეობის ხსოვნის ამსახველ გადმოცემებს. შესაძლოა, ოსებმა ცარციათული თქმულებებით შემოგვიჩინახეს იმ რეგიონში წინარე მოსახლეობის ხსოვნა. წინარე მოსახლეობაში რომელიმე გამჭრალი ქართველური ტომი უნდა იგულისხმებოდეს. ცარციათების აპოკალიფსური დასასრულიც, შესაძლოა, ამას ადასტურებს. ცარციათების თქმულებებში ყურადღებას იპყრობს ქართული ან ქართულის გზით შესული სახელების სიმრავლე, როგორიცაა შავლე, გუდარა და სხვა. აღსანიშნავია, რომ ეთნონიმ „ცარციათს“ ქართულ ენაზე აქვს შესატყვისი – ცერცეტი. ცერცეტი ადამიანის უარყოფითი ეპითეთია. „რა ცერცეტია?“, „– რა ცერცეტივით (< ცარციათივით) იქცევა?“ – ამბობენ ისეთ ადამიანზე, რომელიც არაადეკვატურად იქცევა. ხალხურ მეტყველებაში მეზობელი კუთხეების ეთნონიმები ხშირად გამოიყენებოდა ნეგატიური მნიშვნელობით. ცარციათთან სიახლოვეს ამუღავნებს აგრეთვე სიტყვები: წერწეტი, კერკეტი და ჩერჩეტი, თუმცა ბ. კუფტინის აზრით, სიტყვა ცარციათში მოიაზრება ჩერჩეხების კარგად ცნობილი ეთნიკური სახელწოდება. ის ვარაუდობს, რომ ქართულ ენაში დადასტურებული ჩერჩეტი, ცერცეტი, წერწეტი და კერკეტი ეთნონიმ ჩერჩეხიდან მომდინარეობს [კუფტინი 1949:40].

ოსური ხალხური ტექსტების (ბ. კუფტინის, გ. ჩურსინის, ი. მეგრელიძისა და სხვათა ჩანაწერებით) მიხედვით, ცარციათების ამოწყვეტის შემდეგ იქ მისულან ოსები და ცარციათების ნასახლარებზე დამკვიდრებულან. ისტორიულადაც ცნობილია ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ ოსი ხალხის გადაადგილების მარშრუტი. ცარციათები გაუნადგურებია უეცარ უბედურებას. ეს შეიძლება უოფილიყო შავი ჭირი, შიმშილი ან ომი. მაგრამ ცარციათები უკვალოდ არ გამჭრალან. მათ დატოვეს თავიანთი ნაკვალევი საფლავების სახით.

ცარციათული თქმულებები ჩვენთვის ცნობილი ეთნოსებიდან, ლეგენდარული ნართების გარდა, არც ერთ ისტორიულ ხალხს არ ახსენებს. ოსური ხალხური ტექსტების მიხედვით, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ნართები და ცარციათები ერთ ეპოქაში ცხოვრობდნენ. მართალია, მათ საცხოვრისს ერთმანეთისგან მთა აშორებს, მაგრამ ნართების ქვეყნიდან ცარციათებამდე მისვლა ისეთივე ძნელია, როგორც მიღმა სამყაროში მოხვედრა. ცამდე ასული ცეცხლის ენები იცავენ ცარციათების ქვეყანას.

ნართების ეპოსი არ ახსენებს ცარციათებს, მაგრამ ცარციათების ეპოსი მოგვითხრობს ნართ ურუზმაგზე. ცარციათ სუას ქებას მის ყურამდეც მიადწია. ურუზმაგს სუას გაცნობა მთელ ქვეყანად უღირდა. ნართების უხუცესი ერთადერთი იყო ნართი დევგმირებიდან, რომელმაც ცარციათების საოცარი ქვეყანა მოინახულა. ცარციათების ქვეყნამდე ცხენის სამი თავგანწირული ნახტომით მან ძნელად სავალი გზა განვლო. ცარციათ სუას სიბრძნე, სიმდიდრე და სტუმარმასპინძლობა აღაფრთოვანებს ნართ ურუზმაგს. როგორც ზ. კიენაძე აღნიშნავს, „ერთმანეთს ხვდება ორი ღირსეული ადამიანი, უცხოობა დაძლეულია, უცხონი ძმები და ახლობლები ხდებიან. არავითარი მტრობა, არავითარი შური ურუზმაგისგან, რომელიც რწმუნდება სუას უპირატესობაში“ [ოსური თქმულებები 2010:7]. ურუზმაგი თავის ქვეყანაში ბრუნდება სუას ნაჩუქარი ურიცხვი საქონლით, რომელიც ბრძენმა უხუცესმა თანაბრად დაუნაწილა ნართებს, თავისი წილიდან კი დიდი საღვთო გადაიხადა, სუას სახელი ნართებსაც გააცნო, იქაც სანაქებო გახადა.

ნართებისა და ცარციათების ეპიკურ ტექსტებს ყველაზე მეტად აახლოებს ჰუმბრისის პრობლემა. ნართების ჰუმბრისში განსაკუთრებული ადგილი უკავია რელიგიურ მომენტს. ნართების დაღუპვის შესახებ თქმულებათა ერთი ვარიანტი ასე იწყება: „როცა ნართები ჯერ კიდევ სრულ ძლიერებაში იყვნენ, როცა მათთვის ღია იყო გზა ზეცისაკენ...“ [ნართები 1988:34].

ნართებმა და ცარციათებმა უარყვეს ზეცისკენ მიმავალი გზა, დაივიწყეს ღმერთი, სახლებსაც მაღალი კარები შეაბეს, რომ ღმერთს არ ეფიქრა, თავიანთს მცემენო. „მაღალი კარები“ „ბაბილონის გოდოლის“ ერთგვარი გამოძახილია, რომელიც მათ ამბარტავნებაზე მიგვანიშნებს.

„არ უნდოდა ღმერთს ცარციათების ამოწყვეტა, მაგრამ ისინი ისე გათამამდნენ, ღმერთიც დაივიწყეს, თავიანთი სალოცავებიც მიატოვეს“ [ოსური თქმულებები 2010:58]. – მოგვითხრობს ხალხური ტექსტი.

ღმერთმა ნართებსა და ცარციათებს ჯერ პრივილეგია – ქარიზმატულობა და დავლათიანობა წაართვა, შემდეგ კი ბარაქა და დოვლათიც გაუქრო. ცარციათების საქონელი ნამატს აღარ იძლეოდა, მათი ცოლები ბავშვებს ვეღარ შობდნენ. საკუთარ თავზე გადაჭარბებული წარმოდგენით აღვსილ ნართებსა და ცარციათებს აღარაფერი შველით. მათ თავიანთი ქცევით ღმერთი განარისხეს. ამიტომაც ეპოსს აპოკალიფსური დასასრული აქვს. ნართებმა დაკარგეს მინიჭებული უკვდავება. ნართები, შიმშილით რომ არ დახოცილიყვნენ, თავთავთან ერთად ლეროსაც ფქვავდნენ და ერთი წელი-

წადი ასე გაატარეს. მერე თქვეს: „ღმერთს ხომ ჩვენ თვითონ შევუთვალეთ, მარადიულ სიცოცხლეს მარადიული დიდება გვირჩევნიაო“. ამის თქმა იყო და ყველამ თავისთვის საფლავის გათხრა დაიწყო და შიგ ცვიოდნენ. ასეთივე აღსასრული ერგო, ქართული ზეპირსიტყვიერი ტექსტების მიხედვით, გაბუდაყებულ ცხრა ძმას. მთიულეთში რამდენიმე ვარიანტად არის ცნობილი მატერიალური დოვლათითა და ფიზიკური ძალ-ღონით გაამბარტავნებული ცხრა ძმა წიფორელისა და ცხრა ძმა ჩელხიანის აღსასრული. ცხრა რიცხვი მათ სიმრავლესა და სიძლიერეზე მიანიშნებს. ერთ დროს ცხრა ძმაც თავს ბედნიერად გრძნობდა. მაგრამ მათ დაავიწყდათ, რომ მატერიალური დოვლათი, რომელსაც ისინი ფლობდნენ, ღმერთისგან ჰქონდათ მინიჭებული და წარმავალი სიძლიერით გადიდგულბულნი თანასოფლელებს დაუპირისპირდნენ. ღმერთმა მათ უსამართლობა არ აპატია და გაბუდაყებულებმა იხილეს თავზარდამცემი სასწაული, რომელიც დიდი ოჯახის სრულ განადგურებას იუწყებოდა: სათიბში წყალი გაეყინათ, სახლში რძე, აკვანში ბავშვის შარდი. „უბედურებაა ჩვენს თავსო“, თქვეს და თორმეტი დღე საკუთარ სამარეებს თხრიდნენ. შემდეგ გავიდნენ, დედაც თან წაიყვანეს, ბავშვიც, შესულან აკლდამაში და თორმეტი დღის შემდეგ სულ გაწვეტილან, ერთიც არ გადარჩენილა ცოცხალი [ანდრეხები 2009:262-264]. ოსურ ეპიკურ ნარატივებსა და მთიულურ ტექსტებს შორის ტიპოლოგიური მსგავსება აშკარად შეინიშნება. ცხრა ძმამ, ნართებმა და ცარციათებმა ღვთის რისხვა მოიწიეს, სასჯელიც თითქმის ერთნაირი ერგოთ. მათი ჰუმბრისი რიცხობრივმა სიმრავლემ, ფიზიკურმა და მატერიალურმა სიძლიერემ განაპირობა.

უფრო სიღრმისეული იდენტურობა ჩანს ნართებისა და ცარციათების ეპიკურ თქმულებებს შორის. ისევე როგორც ნართები, ცარციათებიც დევგმირები არიან, ისინი გამუდმებით იბრძვიან, გამოირჩევიან განსაკუთრებული ფიზიკური ძალითა და მოხერხებულობით. ნართების ეპოსში გვხვდება ტყუპების მოტივი (ახსარი და ახსართაგი, ურუზმაგი და ხამიცი), რაც დამახასიათებელია აგრეთვე ცარციათული თქმულებებისთვის (ახვი და ნალვილა, ბურაბერდი და ბურანაგი). ნართი გმირების ცხოვრებაში საბედისწერო როლს თამაშობს „ნართების ბოროტი გენია“ სირდონი, ცბიერი, ჯადოსანი და მაქცია. მას ეშმაკური რჩევებით დალუპვისკენ მიჰყავს ნართები. ამ ფუნქციას ცარციათების თქმულებებში ასრულებს ქალი პერსონაჟი მიმი, ბუნებით ქაჩი და ეშმაკი, რომელსაც უბედურება მოაქვს ცარციათებისთვის. ნართებშიც და ცარციათებშიც ცივილიზაციის საწყისების შემოტანა ქალს უკავშირდება (სათანა და ბონვარნონი).

ნართებიცა და ცარციათებიც ენათესავებიან დონზედთირებს, დონზედთირების ქალები მათ ცოლებად მოჰყავთ; ნართები და ცარციათები ხან მტრობენ და ხანაც მეგობრობენ ზეციერებთან.

ცარციათებსაც ნართებივით ნადიმებისა და საღვთოების გადახდა უყვარდათ. იმხელა სუფრებს შლიდნენ, კაცი ბოლოს თვალს ვერ მიაწვდენდა. ცარციათებმაც ნართებივით შეუდარებელი მოლხენა, ცეკვა და სიმღერა იცოდნენ.

ნართებისა და ცარციათების ეპიკურ თქმულებებს შორის მსგავსება ტიპოლოგიურიც არის და გენეტიკურიც. ნართებსა და ცარციათებზე ცნობები შემონახულია მხოლოდ ხალხურ ტექსტებში. ნართებზე ოსებს შემორჩათ უამრავი თქმულება, ცარციათებზე კი ტექსტების მხოლოდ მცირე ნაწილი. მართალია, ნართებისა და ცარციათების დაღუპვის ტექსტები ძალიან ჰგავნან ერთმანეთს, ჩვენ მაინც ვერ მივიჩნევთ ლეგენდარულ ნართებსა და მითურ ცარციათებს ვერც ერთ და იმავე საზოგადოებად და ვერც სხვადასხვა ხალხებად, რომლებიც განსხვავებულ ისტორიულ ეპოქებში კავკასიის მთიანეთში ცხოვრობდნენ. მათ შესახებ არ მოგვეპოვება წერილობითი წყაროები, ამიტომ ნართები და ცარცები, როგორც ისტორიული ხალხები, არ არსებობენ. ეპოსებში ასახულია ოსური ხალხური წარმოდგენები ამ ორი მითიური ხალხის ცხოვრების შესახებ და, აქედან გამომდინარე, შეუძლებელია ვისაუბროთ ნართების ან ცარციათების რაიმე ეთნიკურ ურთიერთობაზე ოსებთან.

საბოლოოდ ნართებიცა და ცარციათებიც სიამაყისა და ამპარტავნობის მსხვერპლნი გახდნენ. ღმერთმა ისინი დასაჯა და აღგავა პირისაგან მიწისა. ეს არ უნდა იყოს ფორმალური დამთხვევა. ჰუბრისის პრობლემა ნიშანდობლივია ოსური ფოლკლორისთვის. ხალხური ცნობიერება არ პატიობს საზოგადოებას ამპარტავნობასა და სიამაყეზე დაფუძნებულ ყოფას, ძალმომრეობასა და სისასტიკეს, ამიტომ ამა თუ იმ ხალხის უბედურებას, დაღუპვას, გაწვეტასა და გაჭრობას ოსური ფოლკლორი ჰუბრისის მიაწერს. ჰუბრისის გამო სჯის ღმერთი ცარციათებსაც და ნართებსაც.

## დამოწმებანი

- ალბოროვი:** Б. Алборовов. Этноним «Царциате» осетинских нартских сказаний ([www.darial-online.ru/.../alborov.shtml](http://www.darial-online.ru/.../alborov.shtml)).
- ანდრეუები 2009:** ზურაბ კიკნაძე. ანდრეუები (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რელიგიურ-მითოლოგიური გადმოცემები), თბ., 2009.
- ბარაკოვა 1936:** Е. Баракова. Этнографические записи, 1936.
- თოფჩიშვილი 2009:** როლანდ თოფჩიშვილი. ეთნიკური პროცესები შიდა ქართლში, კრებულში „საქართველოში არსებული კონფლიქტები და მშვიდობის პერსპექტივები“, თბ., 2009.
- კოკიევი 1929:** Г. Ф. Кокиев. Склеповые сооружения горной Осетии, Владикавказ. 1928.
- კუფტინი 1949:** Б. А. Куфтин. Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тб., 1949.
- მეგრელიძე 1984:** იოსებ მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, თბ., 1984.

**მელიქსეთ-ბეკოვი 1929:** Л. Меликсет-Беков. «К Археологии и этнологии Туальской Осетии», ЗНА, вып. 1, Тифлис, 1924.

**ნართები 1988:** ნართები, ოსურიდან თარგმნა მერი ცხოვრებოვამ, „ირისთონი“, ცხინვალი, 1988.

**ოსური თქმულებები 2010:** ოსური თქმულებები, მასალები შეკრიბეს და წიგნი შეადგინეს ნ. ბეპიევმა და ნ. პოპიაშვილმა, ოსური ენიდან ქართულად თარგმნა ნაირა ბეპიევმა, თბ., „უნივერსალი“ 2010.

**ტაკაზოვი:** Ф. Таказов, Южные осетины сохранили еще более древний эпос, чем нартский ([www.iriston.info](http://www.iriston.info)).

**ჩურსინი:** Г.Ф.Чурсин. «Осетины», Этнографический очерк, Тифлис., 1925.

**ძველი საქართველო:** „ძველი საქართველო, II, ტფ., 1911-1913.

ხვთისო მამისიმედიშვილი

### კარლ შმიტის გეოპოლიტიკური კონცეფცია

**კარლ შმიტი. ხმელეთი და ზღვა. მსოფლიო-ისტორიული განაზრება, სამეცნიერო სერია „ფილოსოფია-სოციოლოგიის კლასიკური და თანამედროვე ტექსტები“, ტ. 3, „ნეკერი“, თბ., 2010, 178 გვ.**

აზროვნება ისტორიული და პერსპექტიულია. სწორედ ისტორიულობა და პერსპექტიულობა განსაზღვრავს აზროვნების იმ სქემებსა და ჭრილს, იმ პრობლემათა სპექტრს, რომლებითაც ჩვენ „სინამდვილის“ შესახებ ვმსჯელობთ. თანამედროვე სამყაროში მიმდინარე ცვლილებები, გლობალური დათბობა, ეკოლოგიური კრიზისები და კატაკლიზმები კაცობრიობას ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს და თანამედროვე აზროვნების ახალ ტენდენციებს განსაზღვრავს. სამყაროს პერსპექტივა ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებს აიძულებს ახალი პრიორიტეტები ეძებოს და გლობალური აზროვნების მახასიათებლები გამოკვეთოს. თანამედროვე ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, სულ უფრო და უფრო მეტად დაამკვიდროს ინტერკულტურული პარადიგმები. ამ მხრივ დასავლურ ფილოსოფიურ აზროვნებაში საგულისხმო მცდელობები შეინიშნება. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ჰაინც კიმერლესა და ფრანც მარტინ ვიმერის ნაშრომები. ინტერკულტურული ფილოსოფიის წინაშე უნიკალური პერსპექტივა იკვეთება: კულტურათა დიאלოგის ხელშეწყობა და მომავლის აზროვნების კონტურების მოხაზვა; ამ კონტექსტში აქტუალური ხდება აზროვნების ისტორიის მკვლევართა მიერ ხშირად მიჩქმალული, ან კიდევ სულაც უკუგდებული აზროვნების გზებისა და კერების ხელახლა აღმოჩენა [...] [ირემადე 2010:21]. ეს მნიშვნელოვანია